

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 შავედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 16

1883—1901

15—30 აგვისტო.

ქალაქის პროგიმნაზია

ელენა გახტაძისა


დ. ხ. მ. შ. ი.

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის — ელენე გახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში.

მწარე ფიქრები

(ხელ-მოუწერელ და დაბეჭდებითი წერილების გამო).

ამ ბოლო დროს, როგორც ხმები ისმის, ძლიერ ვრცელდება ჩვენში „დანოსების“ — ხელმოუწერელი დაბეჭდებითი წერილების წერა. ამ ღლეტებში სინოდის იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა, რომ იგი ხელ-მოუწერელ ქაღალდებს და წერილებს და რომლებზედაც გარკვევით არ იქნება მოწერილი სახელი და გვარი, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ, საზიზღარი დაბეჭდებითი წერილების გამო პასუხის წერა აღარ დაგვჭირდება. მაგრამ, რაღაც არ გვჯერა. ამისთანა განცხადება წინეთაც ბევრი დაბეჭდილია ხოლმე, მაგრამ დაბეჭდებითი წერილებისამებრ ცნობები მაინც შეუკრებიან და ზოგს პასუხსაც სთხოვენ ხოლმე...



ზოგიერთებს დაუჯინიათ, რომ დაბეზლების და ხელმოუწერელი წერილების წერა ვითომც მარტო ქუთაისში და იმერეთში იცოდნენ და სხვაგან არსად. მაგრამ ეს აშკარა სიცრუეა. წაიკითხეთ ეპარქიების სხვა-და-სხვა დრო გამოშვებითი ჟურნალები და თქვენ შეიტყობთ, რომ რუსეთის სხვა ეპარქიებშიაც ისე უჩივიან ხელმოუწერელ, დაბეზლებით და ლანძღვის წერილებს, როგორც ჩვენში. ბეზლობითი წერილების წერა ყოველ ხალხშია, სადაც განათლებას მტკიცე ნიადაგი არა აქვს და სადაც ხალხში პირმოთნეობა, პირფერობა და ფარისევლობა მეფობს და პირამთქმელობა გამქრალა. ამ სამარცხვინო წერილების ავტორებს ჰგონიათ, რომ მშუტყობელი რჩებიან საზოგადოებისაგან. მაგრამ ამაში ძლიერ მოტყუებულნი არიან. ვისაც ცოტაოდენი შორსმკვრეტელობა და პატარა მიხვდურობა კი აქვს, ძლიერ ადვილი შესატყობია ამ სამარცხვინო წერილების და „დანოსების“ მწერლები. გამქრიახე კაცის გონებას ადვილად შეუძლია წერილების შინაარსით შეიტყოს მათი ავტორები. ამის თვის კაცმა უნდა გამოიძიო მიზანი წერილების შინაარსისა. უსახელო და ბეზლობითი წერილებს სხვა-და-სხვა მიზნით სწერენ და ეს მიზნები აშკარად გამოსტყვერს უსახელო წერილებიდან. ერთნაირი უსახელო წერილები იწერება იმ მიზნით, რომ აენონ რამე თავიანთ მოწინააღმდეგეთა, რომელთა წინააღმდეგ გამოცხადებულად ვერას ბედვენ და თავის გასამართლებელიც არა აქვსთ რა. მოვიყვანოთ მაგალითი. ერთი ვინმე მეორეს ამხილებს ცუდ საქციელს, ბოროტი საქმის ჩადენას და სხვა-და-სხვა კაცის დამამდაბლებელ თვისებათა. ყველა ეს მხილება საიდუმლოდ კი არ არის, არამედ აშკარად, წერილობით და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. ყოველად შეუძლებელია ამისთანა კაცმა მალულად, უსახელო წერილებით დაუწყოს კიდევ მხილება თავის მოწინააღმდეგეს. რა საქროა უსახელოდ წერილების გზავნა, როცა კაცი საქვეყნოდ გამოდის და ამხილებს, რაც არ მოსწონს?

არის კიდევ ერთნაირი უსახელო წერილი, რომელსაც ხშირად ჩვენში თავის თავზე სწერენ. ბევრს კიდევ გაეცინება, ამას რომ წაიკითხავს და იტყვის: კაცი თავის თავზე ლანძღვა-გინებას როგორ დასწერსო. მაგრამ ჩვენში უფრო ხშირად ასეთი უსახელო წერილებია გავრცელებული. იშვიათად ნახავ

ისეთ მოსამსახურეს ჩვენში, რომ ბევრი ცოდვა არ მიუძღოდეს წინ. და ან კი როგორ შეიძლება უცოდველად ცხოვრება? კაცი ჯამაგირს იღებს ას მანეთს თვეში და სამას მანეთს ხარჯავს! ცოლ-შვილი გამოჰყავს საზოგადოებაში პარიზის უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული და ამას განა ასი მანეთი ეყოფა! ამასთან სახლს იშენებს მშვენიერი გეგმით და შიგნით მორთულია გუბერნატორის სახლზე უკეთესად. ამას ასი მანეთი ეყოფა? რასაკვირველია არ ეყოფა და მეტი საშუალება არ არის უნდა გამოართვას ვისმეს და ართმევს კიდევ!.. ჯანი გავარდეს, გამოართვას, მაგრამ რალად იკვენის, რომ ჩემისთანა უანგარო მოსამსახურე არავინ არის ღუნიაზეო!.. აი ეს არის საწყენი!.. ამისთანა მოსამსახურენი, თავიანთ ბატონების შიშისაგან აღშფოთებულნი, რას არ ჩადიან, რომ უმფროსს აჩვენონ თავიანთი თავი ანგელოზად, საწყლად და სათნოდ. მოდგებიან და სწერენ ღამე უსახელო წერილებს თავიანთ ბატონებს და რას არ თხზავენ მათზე. ამისთანა წერილებით ისე აძლებენ თავიანთ უფროსებს საზოგადოებას, რომ ყოველ კაცზე რწმენას უკარგავენ და ბოლოს დაუხშირებენ თავიანთ თავზე იმისთანა ცილის წამებას და იმისთანა საქმეებში გამტყუნებას, რომლებშიდაც იგინი სრულებით დამნაშავენი არ არიან და ბოლოს ისე უსაფუძვლოდ და უადგილოდ მოითხოვენ ამ წერილებში ამ მოსამსახურეთა დათხოვნას, რომ მათ უმფროსებს გული მოსდით, რომ ასე უკანონოდ ითხოვენ მათ დათხოვნას. მოხდა მაგალითებრ, რომ უმფროსმა რაიმე საქმე გადასწყვიტა კანონიერად და შეიძლება უკანონოდაც და მის მოხელეს კრინტი არ დაუძრავს. ეს მოხელე სწერს უსახელო ბარათს, აგზავნის კაცის ხელით იქ, სადაც ცხოვრობს მისი მტერი ან არა თანამოაზრე. წერილი იგზავნება იმის საცხოვრებელ დაბიდამ ან ქალაქიდამ, რომ ეჭვი აიღოს უმფროსმა მის არა თანამოაზრეზე. ამ უსახელო წერილში არის მოყვანილი გინება და ლანძღვა მოხელესი, რომ მან მოახერხა ეს უკანონო საქმე, თორემ მთავრობა მას არ იზამდაო. დაიწამებს ქრთამობასაც და ყველაფერს. უფროსი, მოხდება, ამისთანა წერილს კიდევ წაუკითხავს ხელქვეითს და შეიბრალებს მას. ეს კი გაცოდება ამ წერილზე და შეევედრება ღმერთს და მათ მფარველობას ამისთანა უბედურ ხალხში... აქ დაუმატებს

გამარჯვებული მოხელე და აღიარებს, თუ რა ტან-
ჯვა-წვადება მიუღია ბევრისაგან იმისთანა საქმეების
გამო, რომელნიც ისე გარდაწყვეტილან და გაკეთე-
ბულან, რომ თანამდებობისაგან იმ დროს დათხოვ-
ნილი ვიყავით ოც-და-რვა დღით და სოფელში
ესტხოვრობდითო (თუმცა ამ დროს უფრო ბევრი
აუღია და ბევრიც დაუჩაგრავს), ზოგიერთი მოხე-
ლეები ამ უსახელო წერილების წერაში ვეტის-მე-
ტად დახელოვნებულნი იყვნენ და არიან ქუთაისში.
ვკონებ ბევრს ახსოვს კიდევ ქუთაისის ერთი მო-
ხელე ბ—ძე, თუ რაებს ჩაღიოდა ოგოლ—თან. ამ
ვაჭბატონმა ხომ სულ მოხიბლა იგი ოსტატურად შედ-
გენილი უსახელო წერილებით და „დანოსებით“,
რომელსაც ის სწერდა თავის თავზე. პირველად ცოლს
გაეცნო იმის გამო, რომ ვითომც უმოწყალოდ
ატყუებდენ მას სანოვავის ყიდვაში. როცა ბ—ძე
იყიდა სანოვავს ბაზარში, ნახევრის ფასად ყიდუ-
ლობდა ყველაფერს სხვების ნაყიდებთან შედარებით.
ის თავის ფულს აძლევდა გამომყიდველებს და ბა-
ტონის ცოლს უმტკიცებდა, რომ აქ უსვინიდისო
ხალხია და თქვენ არ გზოგვენო. ამით დაიმსახურა
ყურადღება და ოჯახის მესაიდუმლე შეიქნა. ზო-
ლოს მიაყოლა და მიაყოლა უსახელო წერილები,
რომელშიაც თავის თავზე სწერდა, რომ თუ ბ—ძე
არ დაითხოვეთ, შენც მოგკლავთ და მასაცო. აქ
გუბერნიის უმფროსი ოგო—ნი შეშფოთდა, მაგრამ
სულ აღარ მოიშორა ბ—ძე. სადაც წავიდოდა სა-
სეირნოდ, ბ—ძეს აღარ იშორებდა. გაიგო ბ—ძემ,
რომ მისი ბატონი საღამოზე გაისეირნებს ფრანგე-
ბის სასაფლაოსაკენ. გაიკეთა საქმე მოხერხებულმა
ბ—ძემ. საღამო დროს დახვდება ოთხი კაცი წინ,
დაიწყებენ გულმოსული ლაპარაკს ვითომ მოკვლა
ან ცემა აქვსთ განზრახული. გაიქცევა განგებ უკან
ჩამორჩენილი ბ—ძე, იძრობს რევოლვერს და ისერის,
კაცები შეშინდებიან და გაიქცვიან, გამოუდგება
უკან და კუდითქას ასროლინებს!.. გაქრენ კაცები
—ავაზაკები! გადარჩა კაცი სიკვდილს! «ბატონო,
ეტყვის ბ—ძე, მე მოგახსენეთ, რომ მარტო სეირ-
ნობა თქვენი საშიშოა ამისთანა უბედურ ხალხში,
სადაც კაცს არ აფასებენ... ოჰ, ნეტავი ერთი მო-
მეხვედრებია გულში, რომ აღარ წასულიყო და იქვე
მომკვდარიყავი. ერთ-ერთი მათში დაჭრილია კი».
ვის შეეძლო დაემტკიცებია ოგოლ—სათვის, რომ
ყველა ესეები სულ ბ—ძის „ფოკუსები“ იყო და

არა ნამდვილი? ვის შეეძლო დაემტკიცებინა ოგო-
ლი—სათვის, რომ ის ოთხი კაცი, რომელნიც მას
დახვდნენ ფრანგების სასაფლაოსთან, ბ—ძისაგან
იყვნენ დაჭირავებულნი და მათ აღასრულეს ის, რაც
მინდობილი ჰქონდათ მისგან? რამდენაც უნდა და-
გემტკიცებინათ მისთვის, ის მაინც არ დაიჯერებდა
და იმიტომაც გაიძახოდა, რომ ბ—ძისთანა კეთილი,
უმანკო, უნაგარო და მკოდნე არაიენ არ იყო.
მაგრამ, როცა სუდებნი პალატის სეკრეტრად გაან-
წესეს, აი მაშინ შეიტყო ყველამ, თუ რაც შვილი
იყო იგი; მაგრამ იქიდან გამოსულსაც კარგი აღ-
გილი არგუნეს თავის ბატონის წყალობით... არა
არს საიდუმლო, რომელი არა გამოსჩნდეს. ყველა-
ფერი შეტყობილი იქნება ბოლოს, მაგრამ გვიან
სამწუხაროდ.

ბ. ოგო—ნი ძლიერ ახირებული კაცი
იყო. მოგვხსენებათ, სარა მოდებადის ბავშვის
უეცრად დაკარგვამ და ბოლოს მის მკვდრათ ნახვამ
რა ამბავი მოახდინა. მაშინ თბილისიდან მობრძანდა
ბ. ო—ნი. ბრძანდებოდა საჩხერეში, ბევრი ესაუბრა
ურბებს და ურჩია; თუ მაინცა და მაინც საქიროა
თქვენთვის ქრისტიანი კაცის სისხლი, შეგიძლიათ
სადალაქოებში შეუკვეთოთ და იქ ყოველთვის ბევრს
იშოვითო!.. არა ბატონო, არა ბატონო, იღრიალეს
ურბებმა, არ გვინდა ქრისტიანის სისხლიო. მაშინ
კი ვსთქვი, რომ კარგი ვინმე ჩაუგდია ხელში ბ—ძეს
მეთქი... აბა ერთი მიბრძანებულყო სხვა გუბერნიის
უმფროსებთან ბ—ძე, როგორ იფრენდენ უკან და
ან კი გაბედავდა თვითონ მას, რასაც ბედავდა
ო—ნთან? მერე თვითონაც დანწარდა სიცოცხლე
საწყალს. განა ღვთის განგება შეაწევს კაცს საძა-
გელ საქმეს და სხვის ღალატს? არა, არავის არ
შერჩება ღალატი, ცილისწამება და უსამართლობა,
მხოლოდ ღმერთთა სულ-გრძელი და ბოლოსაც მი-
აგებს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ...

სოფლის ხუცესი.




«მწუხმის» კორუმპონდენცია.

(რაჭილამ).

მეხუთე წელიწადია, რაც მთელი იმერეთის ეპარქია მწარედ გლოვს დაუვიწყარს, სახელოვანს განსვენ. მწყემსთ-მთავარს გაბრიელს. ამ მწუხარებას უმსუბუქებდა ხალხს მათი მეუფებისაგან დატოვებული ქადაგება, რომელიც ყოველს ეკლესიაზედ იმეჭონება და ყოველს კვირა-უქმ დღეებში იკითხება ხოლმე. როდესაც მათი მეუფების მადლით საგსე სიტყვები ესმის მლოცველთ, ასრე ჰკონიათ, ვითომ თვითონ განსვენებული ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსი გაბრიელი იდგეს ამბიონზე და ის ამბობდეს ამ სიტყვებს. მაგრამ ეს მწუხარება ხალხს შეუმსუბუქდა მას აქეთ, როცა შეიტყვეს, რომ იმერეთის ეპარქიას ნაცვლად მიცვალბულის გაბრიელისა ელირსა მღვდელ-მთავარი ლეონიდი—მსგავსივე გაბრიელისა, ელირსა მწყემს-მთავარი მშვიდობიანი და ხალხის მოყვარული და მათის სულიერის და ხორციელის კეთილობისათვის მოწადინე. ჩვენი მიგდებული მხარე—რაჭა სულით და გულით მომლოდინე იყო მათის მეუფების პირდაპირ ხილვისა, დარაგების მოსმენისა და ლოცვა-კურთხევის მიღებისა, და, აი, ეს სურვილიც აღუსრულდათ რაჭველებს; ამ თვეში ლეჩხუმიდამ შემობრძანდა მათი მეუფება რაჭაში პირველად სოფელ ტოლაში, შემდგომ ხვანჭკარას, ჩორჯოხს, ღვიარას და 7 აგვისტოს, თორმეტ საათზე მობრძანდა ბოსტანაში. მათი მეუფება პირველად შებრძანდა ეკლესიაში, სადაც მათ მეუფებას მიეგება ადგილობითი კრებული ჯვართით და აიხმის წყალით; შემდეგ მცირე კვერქისისა წარმოითქვა მრავალ ჟამიერობა ხელმწიფე იმპერატორისა და მისი სახლისა, უწმიდესის სინოდისა და ყოვლად სამღვდლო ლეონიდისა. მათმა მეუფებამ დაათვალიერა ეკლესია და მისი კუთვნილებანი, ბოლოს გამობრძანდა ამბიონზედ და წარმოსთქვა სიტყვა, რომლის შემდეგ დალოცა ხალხი, რომელიც სასოებით მიდიოდა მღვდელ-მთავართან და იღებდა შენდობას. პატარა ოთხი-ხუთი წლის ყმაწვილებიც სიხარულით მიჰყავდათ მათი მეუფების ხელზე სამთხვევად და ეს პატარა, ანგელოზის მსგავსი ყმაწვილებიც სიხარულით მიდიოდნენ მის მეუფებასთან. ყოვლად სამღვდლოს ახლდენ მამა დე-

კანოზი ნესტორ ყუბანიევი, ადგილობითი ბლალოჩინი მათე გორდენიანი, ნიკორწმიდის საბლალოჩინო მაზრის ბლალოჩინი სერაფიონ ფონჯავიძე და პოლიციის ბოქაული. ამავე დღეს, საღამოს მეხუთე საათზე მათი მეუფება დაბრუნდა ხვანჭკარას, სადაც მეორე დღეს უნდა ეწირა გარდაცვალებულის თავადის ალექსანდრე ყიფიანის სულის მოსახსენებლად. მეორე დღეს, შემდეგ წირვისა, მათი მეუფება მიბრძანდა სადმელს და იქილამ წაბრძანდა ზემო სოფლებში.

მ. ს. შ.



ს ი ტ უ მ ა,

თავ. ქაის. გელფანისა, რომლითაც იგი მიესაღმა 5 წ მარამბისთვეს სოფ. ზირველ ტოლის მაც. ეკლესიაზე, მის ყავჯად უსამღვდელოებსა ეპისკოპოსს ჯეონიდს.

კურთხეულ ხარ მომავალი სახელითა უფლისათა.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, საიმედო მწყემსთ-მთავარო და მამაო ლეონიდ! თქვენმა განწესებამ ჩვენი ეპარქიის მამათ მთავრად, როგორც უკვე დანახული გექნებათ, არა ჩვეულებრივი საერთო სიამოვნება და კმაყოფილების გრძობა მოჰქინა ჩვენი ერის სულსა და გულს. ყოველი წოდება შენი ვრცელი სამწყსოისა დიდიდამ პატარამდის გატაცებული უსამზღვრო მხიარულებით, აღფრთოვანებული სანუგეშო იმედებით, სიყვარულით გიგალობს შენ ზემო მოყვანილს მაღალ აზროვანს საგალობელს. რა ამბავია? რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი იშვიათი აღმტაცო მხიარულება ამდენის ხალხისა? თქვენ უკვე უწყით ამის მიზეზი. მაგრამ მე მაინც ვიტყვი სხვათა საგულისხმოდ: ოცდა ხუთმეტე წელიწადი გვმწყსიდა ჩვენ და გვიძლოდა წინ მაცხოვრის მიერ დანიშნულს ვზახე ისეთი მაღალ ხარისხოვანი, უმაღლესის ჭკუა-გონების მექანი, ბრძენი, მეცნიერი, წმინდა-უმანკო მღვდელ-მთავარი, როგორიც იყო ჩვენი უკვდა-



ვად წოდებული გაბაიელი. ოცდა თხუთმეტი წელიწადი ეს ზეგარდმო მადლით გაბრწყინებული კაცი გვასაზრდოებდა ჩვენ როგორც სულიერად, მებრვე ჭკუა-გონებრივად მაცხოვრის მიერ ნაკურთხის საზრდოთი. მიეყავდით შეუჩერებლად როგორც სულიერის მხრით, ისე ჭკუა-გონების მხრით უმაღლეს და უწმიდეს სფერისაკენ... ამ მადლიანმა მწყემსმა შთაგვებრა ჩვენ სული მაცხოვრის მიერ მონაბერი. მაგრამ როგორც მოგვხსენებათ, ამ ქვეყნად ადამიანთა ცხოვრებაში ხანგრძლივი არაფერია, და ჩვენი ბედი ამ მხრივაც არ იქმნა ხანგრძლივი; განქრა იმერეთის კათედრაზე განთიადის ვარსკვლავი; გაიწვია უმაღლესმა განგებამ მეორე მსოფლიოში ჩვენი განმანათლებელი მოძღვარი, დაბნელდა სფერა იმერთა... შეშფოთდა, განმწარდა ერი: გლოვისა და უიმედობის გრძობამ დაიმონავეა დიდი და პატარა მით უმეტეს, რომ ამ დიდებულის მოძღვრის ღირსეულს მემკვიდრეს გარეშენი ჩვენ შორის აღარავინ გულისხმობდა. მაგრამ, ქართველი ერი ხომ ვიცით ყოვლად წმინდის ღვთის მშობლის ხვედრი სამწყსოა... გაბრიელის მიერ დაობლებულმა სამწყსომ მიიხედა სასოებით ვაენათის მონასტრისაკენ და იქ ვიხილეთ ჩვენ ვოცნების თვალთ შემდეგი დიდებული სანახავი: ყოვლად წმინდა დედოფალი ხორც-შესხმული, რომლის წინაშე წარმდგარიყვნენ საქართველოს ეკლესიის ღვაწლით მოსილნი—ქართველი მღვდელთ-მთავრები, მათ შორის დიდებული მსახური მაცხოვრის ეკლესიისა, ჩვენის დროის ოქროპირი გაბრიელი მუხლმოდრეკილი იყო წინაშე ზეციურის დედოფლისა და რალაცას ევედრებოდა გულსმოდგინედ... მიიხედეთ აღმოსავლეთით გაბრიელის სამწყსოამაც და ვიხილეთ შენ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ქრისტეს ჯვარით ხელში ლიტანიით მომავალი ჩვენსკენ. კურთხეულ არს მომავალი, აღსდგა მკვდრეთით გაბრიელიო, იგრიალა სიხარულით აღტაცებულმა სამწყსომ და გამართა სადღესასწაულო ლიტანია. ვლიტანიობთ და ვმადლობთ ღმერთსა და მეფესა ჩვენსა, იმიტომ რომ თქვენში ველით ჩვენ მეორე გაბრიელს, ღრმად მოაზრე განათლებულ მწყემსს. თქვენგან ველით მართალს, პატიოსანს, სწორ მსჯელს, მიუღღამელს, შეუღრკელს კაცს. შენში ვხედავთ იმ ღვთიური აზრებით გამსჭვალულს კაცს, რომე-

ლიც მზად არის სიმართლის და ქვეყმარტების აღდგენასა და დაცვას... შენში ვხედავთ განხორციელებულს იდეალს მაღალ მოაზრე სანუგეშო მამულის შვილისას... შენ, ძვირფასო მწყემსთ-მთავარო, შვილი ხარ ჩვენი ერისა, გესმის ჩვენი ერის გულის ცემა და ჩვენ გვესმის შენი გულის ძარღვის ცემა... ვიცით ჩვენის ღვთის იხარებ და ჭირით იქმუნებ,—აი უმთავრესი საფუძველი ჩვენი საერო სიხარულისა!

კურთხეულ იყოს შენი და ჩვენი მამაშვილობა. მრავალს წელს გვაკურთხებდეს სულიერთა შვილთა შენტა შენი მარჯვენა, მრავალს წელს გვინათებდეს როგორც სულიერად აღმაღლებისა და განსპეტაკების, ისე საერო ცხოვრების წარმატების გზას თქვენი მადლი და გამჭრიახი გონება. ღმერთი იყოს შემწე თქვენი თქვენს ფრიად მაღალ-მნიშვნელოვან და რთულ მოვალეობის ღირსეულად შესრულებაში.

დღეს მაინც უნდა ვიფიქროთ რამ ამ ძველი ნაშთების შესაფერად დაცვის შესახებ!

...«ეს ეკლესიები და ხატები ძლიერ შესანიშნავნი არიან... ყოველგან განცვიფრებაში მოჰყავხართ სიმრავლეს ხატებისა, ჯვრებისა და საეკლესიო ნივთებისას. ეკლესიებში მათ შეხედებით ხანდისხან 50—60-მდე. უმეტესი ნაწილი დაფლეთილია ასე, რომ დარჩენილან მხოლოდ ფიცრები. მე მეტადრე მაინტერესებდნენ წარწერანი... ისტორიული წარწერანი ვნახე ნაკლებ იმისა, რასაც მოველოდი; ისინი 20-მდეა მეტი არა. არ არის ეჭვი, რომ ისინი ბევრნი იყვნენ ხატებზედ, რომლებისაგანაც მოგლვეჯილნი არიან შესამოსნი და სახენი“. ამბობს ცნობილი ისტორიკოსი და არხეოლოგი ბ. დ. ბაქრაძე სვანეთში თავის მოგზაურობის აღწერაში («Зап. Кавк. Отд. Имп. Географ. Общ. Кн. VI 1864 г.).

ვგონებ, მართლაც არსად არ არის იმისთანა ქვეყანა, რომ სვანეთსავით მდიდარი იყოს ძველი

ეკკლესიებით, ხატებით და საეკკლესიო წიგნებით. რას არ ნახავს აქ კაცის თვალი? ვერ წარმოგიდგინია კაცს, თუ საიდგან გაჩნდა ამდენი ოქრო ვერცხლით მოჭედილი ხატი, ძვირფასი ქვებით შემკული, აზარფეშები, ტყავზედ დაწერილნი საეკკლესიო წიგნები და სხვა ძვირფასი ნივთები!.. მაგრამ მეორეს მხრით ძლიერ დაგალონებთ ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ძველი ნაშთი შესაფერად არ არიან დაცულნი. ჯერ კიდევ 1864 წელში აცხადებდა მწუხარებას ამ ნივთების უკიდურეს მდგომარეობაზედ პატივცემული ისტორიკოსი ბაქრაძე, მაგრამ მწუხარება ისევ მწუხარებად დარჩა. იმედი იყო, რომ ჩვენი სასიქადულო მოღვაწის სიტყვების შემდეგ ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ძველ ნაშთებს და ცნობაში მოიყვანდნენ მათ, მაგრამ იგინი დღესაც იმ მდგომარეობაში არიან; დიახ, არიან, როგორც უწინ და, ცოტა ხნის შემდეგ, მრავალი მათგანი დაიკარგება. ზოგიერთი ის ხატები, წიგნები, ჯვრები და სხვა ნივთები, რომელნიც ნახა ბ. ბაქრაძემ, დღეს უფრო სამწუხარო მდგომარეობაში არიან. დღეს ზოგან ამ ხატების მართო გატყაუღს ფიცრებს და წიგნების ნაფლეთ-ნაგლეჯებს-და ვხედავთ. ხოლო ამ ნაფლეთების დაკარგვით კი ჩვენ ბევრსა ვკარგავთ როგორც არხეოლოგიურის, ისე ისტორიულის მხრითაც.

ეს ძვირფასი ხატები და წიგნები გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა ეკკლესიებსა, კოშკებსა და სახლებში, სადაც მათ თვალ-ყურს არავინ არ აღევნებს. ეს ძველი ნაშთი გაფუჭებულნი არიან მტვერისა, კვამლისა და ყოველივე უწმინდურებისაგან. ავიღოთ, მაგალითად, ს. დოლი, ბეჩოს მრევლში, სადაც ერთს კოშკში დიდი ხნიდგან ინახებოდნენ ხატები და წიგნები. ეს კოშკი ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩანგრეულა (სახურავი მისი ზედა ნაწილით) და ქვეშ მოუტანია ხატები; ამ კოშკში წვიმა თავისუფლად ჩადიოდა და აფუჭებდა იქ დაცულ ნივთებს, მაგრამ თვალ-ყურის მგდებელი არავინ იყო. კოშკის ნანგრევებს რამოდენიმე ხატი ქვეშ მოუტანია, რამოდენიმე დაუგლეჯ-დაუფლეთია და მიწასთან გაუსწორებია. ამ ხატებში შესანიშნავია ღვთის მშობლის ხატი ბერძნული და ხუცური წარწერებით (ამაზედ შემდეგ) და ოთხკუთხიანი, ოთხივე მხრით კუთხიანი პატა-

რა უჯრებით გაკეთებული ნაწილებისათვის. ხატი მორთულია სხვა-და-სხვა გვარი ძვირფასი თვლეთებით, რომლებიც უმეტესი ნაწილი დაკარგულია... წმიდანების ნაწილები გამოცვივებულან და დაკარგულან. მხოლოდ რამდენიმე ნაწილი სამთელზედ მიკრული მოვსძებნე მიწაში და ისევ შიგ ჩავასვენე. დანარჩენები კი სამუდამოდ დაკარგულან. ბევრი უქადაგე და ვხვდევწე ხალხს, რომ მას ნება მოეცა ამ ნივთების შტატის ეკკლესიაში გადატანის შესახებ, მაგრამ ხალხისაგან დასტური ვერ მივიღე, ვინაიდან ხალხი ფიქრობს, რომ ისინი ხატების გადატანის გამო დაისჯებიან ღვთისაგან უწვიმობით და მოუსავლობით. ბოლოს მოვახერხე და ეს ხატები ციხე კოშკებიდამ გადატანილ იქმნენ ეკკლესიაში.

ამას გარდა, სვანების ზოგიერთს სახლებში, მეტადრე სადაც „პაპები“ სცხოვრობდნენ, ბევრი ტყავზედ დაწერილი საეკკლესიო წიგნი ფუჭდება მტვერითა და კვამლით. ჩემს მრევლში მე ვნახე რამოდენიმე ამ გვარი წიგნი, სხვათა შორის, ერთი სახარება (ვეთხთავ), რომლის ფურცლები აქაიქ გაფანტულიყვნენ. ჩემის ფიქრით, ადგილობრივი მღვდლისათვის არ უნდა იყოს სამწელო, რომ თავის სამრევლოში შეკრიბოს ამ გვარი წიგნები და რიგიანად მოუაროს.


ყველა ხატები (ზოგან მაინც) და წიგნები თითოეულ სამრევლოში უნდა შეიკრიბოს და შეირიცხოს შტატის ეკკლესიაში. ამის სისრულეში მოყვანისათვის უნდა დაარსდეს კომისია, რომლის მოვალეობა იქნება, სხვათა შორის, ცნობაში მოყვანა სვანეთის ეკკლესიების ყოველივე ქონებისა.

გარდა ამისა, სასურველია, რომ სვანეთის ერთ-ერთს ეკკლესიასთან დაარსდეს მუზეუმი—ძველი ნივთების შესანახი, რომლის დანიშნულება იქნება შეკრება-შენახვა საეკკლესიო წიგნებისა და სხვა ძველი ნივთებისა, რომლებიც ეკკლესიისათვის არ იქმნებიან საჭირო, მაგალითად: შვილდისრები (ბოძალი), ზარები, ძველი ფული, ფარები, ორალი, ფილოკავანი, ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, კოვზი და სხვა ძველად ხმარებულნი ნივთნი.

მლ. ი. მარჯანი.

1901 წ. 7 ივნისი.
ს. ბეჩო.





ორიოდე სიტყვა სვანეთის სამღვდელოების შესახებ.

საწყალი სვანეთის სამღვდელოება! სადღაც, მოწყვეტილს, შორეულს კუთხეში მოქცეულა!.. ოთხი კუთხით რომ მაღალი გაუვალი კედლები ააგო, ზედა თავი ღია დაუტოვო და შიგ ვინმე ჩააგდო, — სწორედ ასეა სვანეთში მყოფის საქმეც... ყოველ მხრივ მაღალი, ციცაბო, უზარმაზარი და თოვლიანი მთებით გარშემოზღუდული სვანეთი მიუღვამელი ხდება ზამთრის თვეებში. აი, ამის-თანა კუთხეში მოღვაწეობა ურგუნებია ბუნებას რამოდენიმე ჩემი თანამოდმისათვის. ჯერ კიდევ რიგიანი ყურადღება არა აქვს მიქცეული სვანეთის სამღვდელოებას. საზოგადოდ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის შესახებ, კაი ხანია, ზრუნავენ და ცოტ-ცოტა ყველას მიეცა შეღავათი, ხოლო სვანეთის სამღვდელოებას კი, უიმისოდაც ქონებრივად დაქვეითებულს, ამ ბოლო დროს ზედ-მეტი გარდასახადები დაადგეს...

1872 წ. იმერეთის ეპარქიის დებუტატთა ერთ კრებაზედ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ დაადგინეს საკომლო გარდასახადი (25 კაპ. კომლზედ). სასწავლებლის გარდასახადის ორი მესამედი უნდა შეესებულებოდა სანთლის მოგებიდგან, ხოლო ერთი მესამედი უნდა ეხადნა კრებულს საკუთარი ფულებიდან. ამავე კრებამ იქონია რა სახეში სვანეთის ეკკლესიების სიღარიბე და ისიც, რომ სვანეთის ეკკლესიებს სანთელს უზგავნიდა და დღესაც უზგავნის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, — გადასწყვიტა, რომ სვანეთის ეკკლესიების თითო კრებულს ეხადნა წლიურად 11 მ. 50 კაპ. სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ ფულს იხდიდა სვანეთის სამღვდელოება. ესევე გადასახადი ხდებოდა სვანეთის სამღვდელოებას ამ კუთხის გურია-სამეგრელოში გადარიცხვის დროსაც 1897 წლამდე, ამ წელში კი ჩვენდა იღბლად, სვანეთი ლეჩხუმითურთ ისევ იმერეთის ეპარქიას მიეწერა. მოხდა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, იყო სჯა ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების შესახებაც. ამ სამღვდელოების კრების დადგენილების ძალით სვანეთის ეკკლესიების

კრებულს ყოველ წლივ ურიცხავდნენ 25 კაპ. კომლზედ. ეხლა ვნახოთ, თუ რამდენად სამართლიანია ან ეს გარდასახადი, ან თვით კრების დადგენილება.

დადგენილება ამბობს: რადგან ლეჩხუმის მაზრის (სვანეთი არაა ნახსენები) სამღვდელოების დებუტატებმა მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის შესახებ ხარჯში, ამიტომ ვალად დაედგინოს მათ იხადონ იმოდენივე გარდასახადი, რამდენსაც იხდის იმერეთის სამღვდელოებაო. იმერეთის სამღვდელოება კი იხდიდა და იხდის საკირო გადასახადის ორ მესამედს სანთლის მოგებიდგან და ერთს მე-სამედს საკუთარს ჯიბიდგან. ეს დადგენილება შეეხება ლეჩხუმის სამღვდელოებას და სვანეთი აქ რა შუაშია? მართალია, სვანეთიც ლეჩხუმის მაზრას ეკუთვნის, მაგრამ სვანეთი სულ სხვა პირობებშია და, მეორეც ხსენებულს კრებას სვანეთის სამღვდელოების მხრით დებუტატი არ დასწრებია. მაშასადამე დადგენილების სიტყვები: «Въ виду изъ-явленія согласія депутатами Лечхумскаго уѣзда» — სვანეთის სამღვდელოებას არ შეეხება. მაშ სვანეთის სამღვდელოებას რათ დაედო ამგვარი ბეგარა? ვსთქვათ კრებას აქ სვანეთიც ჰქონდა სახეში, მაგრამ რანაირად, როდესაც სხვა დადგენილებაში კრება სვანეთის სამღვდელოებას ღარიბადა სცნობს და ათავისუფლებს გარდასახადისაგან. მართლაც, სვანეთის ეკკლესიები ყველა ღარიბია, სამთელს უზგავნის მათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმად. საზოგადოება. აღბად კრების დადგენილება ნიშნავს, რომ სვანეთის სამღვდელოება გაუთანაწორდეს სასწავლებლის შესახებ ხარჯში დანარჩენს სამღვდელოებას, ესე იგი მანაც ერთი მესამედი გარდასახადისა იხადოს (როგორც სხვები იხდიან) თავისი ფულებიდან და ორი მესამედი კი სანთლის მოგებიდგან, მაგრამ, რადგან სვანეთში ეკკლესიებს შემოსავლის ამგვარი სტატია არა აქვს, გადასახადის ორი მესამედი გადაუხდელი უნდა დარჩეს. სვანეთის სამღვდელოება წინეთ იმდენს იხდიდა, რამდენსაც დანარჩენი სამღვდელოება (11 მ. 50 კაპ.) და დღეს სვანეთის ეკკლესიების სიღარიბისა გამო მთელი გარდასახადი მღვდლებს მიაწერეს. თუ კი იმერეთის სამღვდელოება თავის ჯიბიდგან მხოლოდ გარდასახადის მესამედს იხდის, სვანეთის სამღვდელოებამ რად

უნდა იხადოს სავსებით მთელი გარდასახადი?! ზოგიერთ კრებულს სვანეთში წელიწადში ხდება 30 მანეთი, ზოგს 68 მანეთი, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები.

სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ კრების დადგენილების ძალით იწყო ფულების მოთხოვნა. 161 მანეთის მაგიერ, რომელიც ყოველ წლიურად უნდა გადაეხადა სვანეთის სამღვდლოებას, ახდენებდნენ 302 მანეთს, ასე რომ ოთხი წლის განმავლობაში წაღებულია 1208 მანეთი, როდესაც მხოლოდ 644 მანეთი უნდა წავლათ.

სვანეთის სამღვდლოება იხდიდა ამ გადასახადს და არ იცოდა კი, თუ რა მიზეზით ახდენებდნენ მას ამოდენა გადასახადს! მისთვის არავის არ აუხსნია, თუ რაშია საქმე, ან რის ძალით თხოულობდნენ ამას... სვანეთის სამღვდლოებამ არც კრების დადგენილობის იცოდა რამე და არც მ. ბლალაოჩინი იწყებდა თავს... შეიძლება ბლალაოჩინმა თვითონაც არ იცოდა. ამ გადასახადის გარდახდევინება უსამართლოდ უნდა ჩაითვალოს, თუ გაიგებთ სვანეთის სამღვდლოების გაჭირვებულ მდგომარეობას და მისს ავ-კარგს.

სვანეთში მღვდელი ღებულობს 400 მანეთს წელიწადში კავკასიაში მართლ. მად. ქრისტ. აღმად. საზოგადოების საშუალებიდან და სხვა შემოსავალს იგი ხალხის სიღარიბისა გამო მოკლებულია. აქედგან 50 მანეთამდე სხვა-და-სხვა გვარს გარდასახადებში გაუღდის, რჩება 350 მან.

იმერეთის ეპარქიის დანარჩენს ადგილებში მღვდელი უფრო დაკმაყოფილებულია; უმეტესი ნაწილი ღებულობს 300 მანეთს ჯამაგირს, „დრამის“ ფული და სხვა შემოსავალიც უნდა ვიანგარიშოთ 300 მან. სულ რომ დავამციროთ, იმერეთში მღვდლის წლიური ჯამაგირ-შემოსავალი ორთა შუა რიცხვით 600 მან. იქნება. სწანს, რომ ნივთიერად სვანეთის სამღვდლოება უფრო ცუდ პირობებშია, ვინემ იმერეთის ეპარქიის სხვა კუთხის სამღვდლოება.

ეხლა ვნახოთ, თუ რა ხარჯი აქვს სვანეთში მღვდელსა.—ამ შორეულ ქვეყანაში, სადაც შორიდგან მოსატანი და საყიდელია ყველაფერი. ვსთქვათ მღვდლის ოჯახი, ორთა შუა რიცხვით, შესდგება ექვსი სულისაგან. თითო სულზედ ავიღოთ წელიწადში ოც-ოცი ფუთი პური (ჯარის

კაცს, რომელსაც სტუმარი არ აწუხებს, ეძლევა 22 ფუთი პური), აქედგან (20×6) 120 ფუთი პური მოუნდება მთელს ოჯახს წელიწადში. რადგან ადგილობრივ სვანეთში პური ძნელი საშოვარია, ამიტომ აქაური სამღვდლოება პურს რაჭა-ლეჩხუმიდან ეზიდება, სადაც ფუთი პური ღირს ექვსი აბაზი. ამ სახით პურში წავა (120×20) 144 მანეთი. ეხლა პურის გადმოსატანად მოუნდება ოცი ცხენი; ცხენის ქირა პატრონითურთ 8 მან. (ზოგან 10 მან.). სწანს, რომ 120 ფუთი პურის გადმოტანაში წავა 160 მანეთი და ეს ფული რომ პურის ფასს—144 მ. მიუმატოთ, გამოვა 304 მანეთი.

დანარჩენი ხარჯი: ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჩაე-შაქარი, ღვინო, რომლებიც ჩვენთვის ხილს შეადგენენ, ხორცი, ყველი და სხვა. საზოგადოდ აღენიშნოთ—360 მანეთი, ზემოხსენებული ფულითურთ გამოვა (304 + 360) 664 მანეთი. რადგან სვანეთში ზამთარი გრძელია (9 თვე) და ზაფხული მოკლე (3 თვე), ამიტომ ყოველივე წლის საქირო სარჩო მოტანილი უნდა იქმნეს ერთბაშად და დროზედ ქუთაისიდან ან სხვა ადგილებიდან. ამისათვის საქირო ფული 664 მან. მღვდელი იძულებული ხდება ისესხ-ივახშოს ადგილობრივი ვაჭრებისაგან, ან სხვაგან უზომო სარგებლით; ამის გამოა, რომ ყოველი მღვდელი სვანეთში მუდამ ვალეებშია.

სვანეთის სამღვდლოების არა გაუმჯობესებული მდგომარეობა არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ მღვდელი არა სვანთაგანნი იძულებული ხდება მალე მიატოვოს სვანეთი, სადაც მას უძნელდება ცხოვრება, და გადისხვეწოს თავის სოფლებისაკენ. თვით სვანთაგანებმაც რომ ვეღარ შესძლეს ოჯახობით ყოფნა სვანეთში, ლეჩხუმი-საკენ გადავიდნენ, სადაც ისინი ნაკლებად უჩივიან ბედს და კმაყოფილნი არიან.

რადგან სვანეთის სამღვდლოება მატერიალურად დაქვეითებულია, ამიტომ მისი შვილები გაუნათლებელნი რჩებიან. აქ მღვდელს არა აქვს იმდენი შეძლება, რომ შვილი თავის ხარჯით სასწავლებელში მისცეს, ამიტომ სტოვებს შინ. ესევე მატერიალური მდგომარეობა აიძულებს მღვდელს თავისი ხელით თოხნოს, სთესოს, ზიდოს შემად და სხვა. ასეთი ზრუნვისა გამო მღვდელს დრო



აღარ რჩება, რომ ხალხს ესაუბროს და რივიანად დამწყოს იგი.

აი, სწორედ ამგვარია მოკლედ სვანეთის სამღვდელოების მდგომარეობა.

ღვთივ განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, — ეს დაუძინებელი მუშაკი, მუდამ თვალყურს ადევნებდა სვანეთსა და ბევრი კეთილი საქმეც დანერგა მათმა მეუფებამ აქ. კიდევ ბევრს გააკეთებდა, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, სვანეთი ლეჩხუმითურთ გურია-სამეგრელოს ეპარქიისათვის არ მიეწერათ. მაგრამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ამ დროსაც არ სტოვებდა უნუგეშოდ სვანეთის სამღვდელოებას, როგორ იქნებოდა, რომ სვანეთიდან მღვდელი წასულიყო იმერეთ-სამეგრელოსაკენ და პირველად გაბრიელი — მოწყალე ღმკრემეტყველი მწყემსთ-მთავარი არ ენახა? ყველას თითქო საღმრთო მოვალეობად ჰქონდა დადგენილი ენახა ყოვლად სამღვდელო და ლოცვა-კურთხევა მიეღო მისგან... ის კურთხეულიც, თითქო ზეცილგან რამ ეხარაო, ისე მიიღებდა სვანეთის მღვდლებს, რომ მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მისი ტკბილი სიტყვები, ნუგეში და დარიგება ისე ამხნევებდა საწყალს მღვდლებს, რომ თავი უუბედნიერესს ადამიანებად მიაჩნდათ. მე თითონ ვიცო მღვდელი სვანთავანი, რომელიც სვანეთის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადარიცხვის შემდეგ, არც ერთხელ არ ჩასულა ახალს მწყემსთ-მთავართან. მან ვალად გაიხადა რამოდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ენახა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, მიეღო ლოცვა-კურთხევა და თვისი ვალი შეესრულებინა. მას მეტი არა უნდოდა-რა!..

შემდეგ სვანეთი ისევ იმერეთის ეპარქიას მოაწერეს, მაგრამ საღვთის მიცემის მაგიერ მეტი ბეგარა დაადევს აქაურ სამღვდელოებას. ეხლა გვაქვს იმედი, რომ სვანეთის სამღვდელოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა, რადგან ნიქიერი და სამართლიანი მღვდელ-მთავრის გაბრიელის შემდეგ იმერეთის კათედრაზედ ვხედავთ ისევ ნიქიერსა და ლირსეულს მწყემსთ-მთავარს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდსა.

ბოლოს ვიტყვით, რომ ასეთი დიდი გადასახადი სვანეთის სამღვდელოებას ძლიერ შეაწუხებს. ამიტომ ხანებული გარდასახადი უნდა შემკირ-

დეს და ისევ ძველი გადასახადი 11 მან. 50 კაპ. უნდა დარჩეს. თან სასურველია სამღვდელოების დეპუტატთა კრებები იმისთანა უშიშარსა და მოხერხებულს დროს ინიშნებოდეს, რომ შორეულსა და მთა ადგილებიდან ადვილი მისვლა-მოსვლა ხერხდებოდეს.

მლ. ი. მარგიანი.



შუროსძიების მსხვერპლი.

(რუსულიდან)

I.

სამხრეთის დამის წუნარს სთვარს ქვეშე
 იერუსალიმს ჩასძინებოდა
 და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა
 ტურფად მას თავზედ დასჩერებოდა.
 ამ დროს დიადი ბუნება იყო
 ტკბილ ჰარმონიით შეზავებული;
 თავისუფლება და ფუფუნება
 მის წიადს იყო დამკვიდრებული.
 მაგრამ ვერც ამო სუნი ბადების,
 ვერც ვარსკვლავთა სიხალე წუნარი,
 ვერც სუნთქვა მშვიადის ამ დამისა,
 ვერც ძილი, შვევა, გულის გამხარა,
 ვერ შეაღწევენ სხვატიმროსა,
 ერუსა, კლდის ძირში შეკედლებულსა,
 სადაც სმარის სიცივე ჰმეუფოს
 და წევდიადიც კაცს უხუთავს გულსა.
 წინამორბედი დიდი და წმიდა
 მას შიგან არის გამომწვედეული,
 მარტოდ ატარებს ცხვრების დეკებს,
 შიმშილ-სიცივათ შეწუხებული.
 ირადიადან შურისძიების
 მსხვერპლია იგი დიდი მოძღვარი;
 რომლის ზნეობას, სარწმუნოებას
 დიდად აქებდა თვით მაცხოვარი.
 ის მსახურება დედამარჯვად
 მხოლოდ სიწმიდეს, ჭეშმარიტებას
 და უდაბნოში დამკვიდრებული
 ამხელდა ხალხის ბიწიერებას.

II.

ოდეს ურიათ მეფემ იროდიმ
 შესრულა თვის გულისწაილი:
 წაართვა ცოლი თავის ღვიძლს ძმას
 და დაარღვია ამით ღვთაის სჯული,
 მაშინ იესოს ნათლისმცემელი
 მეფის წინ წარსდგა კანკისებულად
 და აუკვდრიდა საჯაროდ მეფეს
 სიმატლისათვის თავ-განწირული:
 იგი ამბობდა: „ურიათ მეფე
 მონა გამხდარა ქალის შენების
 და ჩაიდინა ბოროტი საქმე
 წინდად იმისი სიამეფების!“
 იროდიადას მხილება ესე
 დახვარვიოთა გულის ესობდა,
 და ჯოჯოხეთურ შესმით და სიმტრით
 იმისი სული აღივსებოდა.
 ვერ ახატებს წინასწარმეტყველს
 თვის ბიწიერის ვნების მხილებას:
 გული ევსება მის მამართ ბრახით
 და განიზრახავს შურის ძიებას.
 მან გადასწვიტა, რომ დაესჯა
 სიკვდილით ქრისტეს ნათლისმცემელი,
 მაგრამ იროდი ვერ გადაიბრია
 შირველხნად, მისი პატავმცემელი.
 წინასწარმეტყველის მას მრისხანე სმა
 იღუმლად ურში ხშირად ესობდა:
 ჩქრელავდა ამ ხმით იმისი გული
 და ტანში სისხლი უცივდებოდა.
 მაგრამ სულმოკლე ვნებს დაუთმო,
 არ მოიმდურა თვის საყვარელი
 და მის რჩევით ბნელს საპურობილეში
 ჩასვა მაცხოვრის ნათლისმცემელი.
 აწ ბაკე ქრისტეს ნათლისმცემლის
 უდაბნოს შინა აღარ დადებებს,
 და მისი ენა დადუმებული
 მედიდურს ქალს აცდა ამხილებს.

III.

სამხრეთის ღამის წყნარს სათარს ქვეშე
 მეფის დარბაზში ისმის სიცილი,
 ნადიმობს მეფე და მხიარულობს
 სტუმრებთან ერთად შვებით ადვსილი.

მეფემ თავისის დაბადების დღეს
 დარბაზს გამართა დიდი ზურობა
 და მოიწვია მეფურს სადილზედ
 თვის ქვეშევრდომი მან დიდ-კაცობა.
 მეფის თვალეში იხატებოდა
 სიხარულითა გრძობა ძლიერი:
 კმაყოფილია იგი ცხოვრებით
 და კაცთა შორის არს ბედნაირი.
 უცნაოდ დარბაზს, ხაზნით აღსავსეს,
 გამიჩნდა ტურფა, ნაზი ასული,
 ადვირ აუსხმელ ვნებათა ღელვით
 იყო აწსება მის ადვსებულად.
 ბოროტის, ავის, თავის ნათქვამის
 იროდიადას ის იყო შვილი:
 იმასვე ჰგავდა შავ თვალ-წარბებით:
 ის დედა იყო შარ წავარდნილი.
 გამიჩნდა დარბაზს და თვის კარშიმ
 იმან მაცდურად დაიწყო ცქერა...
 ცოტა ხნის შემდეგ კაბა ცქერა...
 იქ შეკრებულნი მთლად კაპიტურა...
 ხან-და-ხან იგი მოხდენილად
 ტანის ნაწნარათ შეჩერდებოდა,
 და ხან-და-ხან კი, ვითარცა ცეტი,
 ტრიალებდა და ისლავებოდა...
 ცქერის დროს იმას სიმშვენებურ
 ერთი ათადა ემატებოდა,—
 და კატაცებულს თავისი ცქერით
 დასვენება არ ეუთქრებოდა.
 და თვით იროდი ძლიერ კაპიტურდა
 იმისი ცქერით აღტაცებული,
 განარებული ვერას ამბობდა
 და იყო ისე დადუმებული.
 ქალი შეჩერდა... დასასვენებლად
 მეფის მდიდრულს ტახტს ჩასჭადა ხელად...
 და მის მოხდენილს, საამურს ცქერას
 ერთ ხმად აქებდა დამსწერ უოველი.
 მეფემ შეხედა იმას თვალეში
 და უთხრა ესე მდაბლის ხმითა:
 „მზადა ვარ მოგცე შენ უოველია
 მეტად დამტკობარმა შენის ცქერითა.
 არ დავიშურებ, რომ კარგუნო შენ
 ჩემის სამეფოს თუნდ ნახევარი...
 რა გსურს საჩუქრად, ჩემო ღამაზო,
 რა გინდა, მოგცე, ჩქარა მითხარი!“

— ჰოი მეფეო! რა გთხოვო ამ წამს,
 მე თვით არ ვიცი... ამით ვღიბნებო...
 ნება მიბოძე, გავიდე კარში,
 წავალ და დედას დავუკითხო! »
 გაიგო რა ეს ირთლიადამ,
 სთქვა თავის თავად: „დაე, ის მოკვდეს!..
 ის მიჩვენებია მთელს სამეფოს,
 რომ ის ამ სოფლად აღარ ცოცხლობდეს!“
 — „წადი, კუნაცა, და მეფეს თხოვე
 იოანეს თავი! მას წადი ჩქარა!..
 აქ მომიტანე მის თავი ღვინით,
 რაც რომ ვითმინე მისგან, ის ემარა!“
 შეკრთა ირთლი, მაგრამ თხოვნისა
 აღსრულება კი არ დახანა...
 და თავის ფიცის არ გამტყუებდა
 ნათლისმცემლისა მან მოკვდა ბრძანა.

IV.

შუადამისის საზღვრობისა
 ვიდაცამ შქისედ გააღო კარი...
 და სათლის შუქსედ მან დაინახა
 ჭეშმარიტების დიდი მძაღვარი.
 ის ბნელს კუთხეში მუხლ მდგრეკაილი
 აღუფლანებდა ღოცვას უფაღსა,
 სუღითა ჭფრენდა ზენაქისისკენ
 და ვერ ამჩნევდა შესულს მტარვალსა.
 მან უთხრა მძაღვარს: „მეფის ბრძანება
 მინდა გაუწეო შენთვის რამ ავი...
 უნდა წარგვეთო გათენებამდის
 აი ამ ხმლითა ეკ შენი თავი!..
 იმან ერთი ღრმად ამოიხსრა
 და უსიტუგლად თავი დახანა...
 დაჭკრა მტარვალმა კისერსედ ხმალი
 და მის უმანკო სისწლი დაღვანა...
 გაჭკრა იმისი წმიდა ცხოვრება...
 დიდებულსა ხვდა საკვდილი მწარე...
 და მისი თავი ზატარასანი
 ოქროს ღვანჯრედ დღეს არს მდებარე...
 მაგრამ მის სახეს ზედ შეჩვენოდა
 ბოროტებისა მწარე უკვდრება...
 ის მკვლარი იყო... მაგრამ იღუმლად
 კიდევ ისმელა მისი მხილება...
 შეკრთა ირთლი!.. ვერც კი გაბუდა,
 რომ დაენახა მოჭრილი თავი...

ძლიერ დაღონდა... გულში გაუჩნდა
 მას სიხანულის გრძობა მქენჯნავი,
 მხოლოდ ღამისა ასუღმა ამ თავს
 მოუფიქრებლად მოჭკიდა ხელი,
 აურბენინა ის თავისს დედას
 და გახანა ამით მშობელი.
 რა დაინახა მოჭრილი თავი,
 დედამ მხეცურად გადახანანა,
 ნემსით დახვლიტა იმისა ენა
 და ნაცარ-მტვერი ზედ დაუყარა...
 ჭკოცნიდა თავისს ქალს, რომ აღსრულა
 იმას მხურვალე გულის წადილი...
 თანც დასტკეპოდა შურისგების მსხვერპლს
 სიხანულისა გრძობით აღვსილი!

ილ. ფერაძე

1900 წ.
4 ლეინობისთვის.
ქ. ტფილისი.

ჟურნალ-გაზეთებისადმი

ერთ რუსულ გაზეთს „Россия“-ში ვკითხუ-
 ლობთ შემდეგ საყურადღებო ამბებს:
 ხალხს იურიდიული დახმარება აკლია. ამაზე
 ბევრი თქმულა და დაწერილა. ვინ არ იცის რამ-
 დენი ვნება მოაქვს ხალხისათვის უმეცარ და გაიძ-
 ვერა „აბლაკატებს“? მათ ქსელში გაბმული გლეხი
 ხშირად უარეს ყოფაში ვარდება, ვიდრე საქმის დაწ-
 ყებამდე იყო. „აბლაკატები“ ნივთიერად აღარბე-
 ბენ ხალხს და ამასთანავე რყენიან მათ. ამიტომ მე-
 ტად საჭიროა მოეწყოს და მოეწესრიგოს ხალხის
 იურიდიული დახმარების საქმე. გაზეთი «როსსია»,
 ეხება რა ამ საკითხს, მწუხარებას აცხადებს იმის
 გამო, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც
 მინდობილი ჰქონდა სასამართლო დებულებათა გა-
 დასინჯვა, ყურადღება არ მიაქცია აღნიშნულ სა-
 კითხს. გაზეთის აზრით, ეს საქმე უნდა იკისროს
 ქალაქმა და ერობამ. ამ თვითმმართველობათ უნდა
 მოაწიონ ვეჭილთა კონსულტაციები, რათა ხალხს
 შეძლება ჰქონდეს საჭირო რჩევა-დაჩივება მიიღოს

და თავის ინტერესების დამცველი იყოლიოს. მაგრამ რადგანაც ქალაქებსა და ერობათ საკმაო საშუალება არა აქვთ, საჭირო არისო, ამბობს გაზეთი, ხაზინამ აღმოუჩინოს მათ დახმარება.

* * *

აი კიდევ მეორე შესანიშნავი ამბავი. თუ რამდენად განუვითარებელი და გონების სიბნელით მოცულია ჯერ კიდევ გლეხი, სიანს შემდეგის მაგალითიდან:

„დილით ადრე სასაფლაოს დარაჯმა შემოიარა სასაფლაო და ერთ ადგილას შეამჩნია, რომ ერთის ახლად გარდაცვალებულ რუს-ყაზახის საფლავი გათხრილია. დარაჯი ახლო მივიდა სასაფლაოსთან და ნახა შემდეგი სურათი: საფლავი სულ გადათხრილია, მიცვალებულის კუბო გატეხილია და თვით მიცვალებულის გვამი დაჭრილია. პოლიციის გამოძიებით, გვამი დაუჭრიათ იმ მიზნით, რომ წელები ამოედოთ, რაც კიდევ ჩაედინათ. ზოგიერთის ნიშნებით მიაგნეს ამ საკვირველს ცუდკაცობის ჩამდენთ—ესენი ყოფილან სამი ახალგაზრდა ყაზახი; ერთ ამაგანს მოპარული წელებიც უნახეს ქოთანში. ეს უკანასკნელი გულწრფელად გამოტყდა და სხვათა შორის გამოაცხადა, რომ ეს საქმე ჩაიდინეს, რადგან ქურდებ შორის შემდეგი რწმენაა გავრცელებული: თუ ქურდი იშოვის ადამიანის ქონიდან გაკეთებულ სანთელს, ქურდობის ან სხვა ცუდ კაცობის ჩადენის დროს არაფრის არ უნდა ეშინოდეს. სანთელს სასწაულებრივი ძალა აქვს: იგი აშინებს ხალხსა და ძაღლს, ადებს ბოქლომებს და კლიტეებს; ამავე სანთლის საშუალებით შეიძლება, მათის რწმენით, ჩაფლულ „ხაზინის“ მონახვა და სხვა“.

* * *

ამას წინეთ ჩვენ წავიკითხეთ უფრო საკვირველი ამბავი ამ საგნისავე შესახებ. ორმა-სამმა კაცმა განიზრახა თურმე ვინმე კაცის მოკვლა, მაგრამ ვერაფერ ჩაიგდეს ხელში. ბოლოს იფიქრეს და მოიგონეს მღვდლის მოტყუება: ღამე მივიდნენ მღვდელთან და სთხოვედნ კაცის საზიარებლად წაყოლას. მღვდელს რაღაცა ტანმა უგრძნო და რადგან ღამე იყო და ის ადგილი, სადაც მიჰყავდათ, შორს იყო, უარი უთხრა, მით უმეტეს, რომ შუალამის შემდეგ მიჰყავდათ. ამნაირად თავიდან ასცდა ამ მღვდელს უბედურება და სიკვდილი. ბოლოს მწყემსი ქალი გაიტყუეს ტყეში და ის მოჰკლეს და გადაადნეს

საჭირო ქონასთვის. ძვლები ამ საბრალოსი ტყეში დაჰყარეს და ყველა დარწმუნდა, რომ ბავშვები ნადირმა შეჭამაო. იმ კაცებს, ვინც ეს ჩაიდინა, სახელი გაუჩხრიკეს რაღაც სხვა საქმისთვის და იქ აღმოუჩნდათ წერილი ერთი კატორღაში მყოფი კაცისაგან მონაწერი, რომელიც ამისთანა სანთელს სთხოვდა და მათაც ურჩევდა ეშოვათ როგორიმე გზით. ბოლოს ექვი აიღეს ამ კაცებზე, რომ იგინი იყვნენ მწყემსი ქალის მკვლელი და არა ნადირი. ისინიც გამოტყდენ ბოლოს...

დიახ, სადაც გონების ასეთი სიბნელეა გავრცელებული, ბევრი და ხანგრძლივი შრომაა საჭირო ხალხის უკეთეს ცხოვრებისათვის მოსამზადებლად.

* * *

როგორც უკანასკნელმა აღწერამ აღმოაჩინა, საფრანგეთის ხალხის რიცხვს უმატნია, იმიტომ პალატაში დებუტატების რიცხვსაც უნდა მოემატოს. ესლა პალატაში 581 დებუტატია, მომავალი არჩევნის—1902 წ. უნდა მოხდეს—შემდეგ კი დებუტატების რიცხვი—589-მდე ავა. პარიზს სამი დებუტატი მოემატება, პროვინციაში 9 ოლქს თითო დებუტატი მოემატება, 4 ოლქს კი თითო დააკლდება, ასე რომ საზოგადოდ სულ რვა დებუტატი მოემატება პალატას.

* * *

„ქუჟამ მოჰამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოღებულმა“,—აი ამ გზას ადგა წინად ინგლისის მთავრობა და მართლაც და სახელოვნად მიჰყავდა სახელმწიფო საქმეები, ინგლისმაც ამ გზაზე სიარულით საოცარ განვითარებამდე მიადწია, სახელიც დიდი მოიპოვა და სახრავიც, თანაც არც არავინ შეუწუხებია და დაუღონებია. პირიქით მთელი ქვეყნიერება მადლიერი ჰყვანდა: ძღვეა-მოსილ თავისუფალ ინგლისს ყველანი ჩაგრულთ ნუგეშად და იმედად სთვლიდნენ. საცა კი უცხო ერი ჰყვანდა დამორჩილებული, ინგლისის ქვეშევრდომობა ყველას სასახლოდ და საამაყოდ მიაჩნდა. მაგრამ გამოიცვალა დრო და ინგლისის მმართველობის სათავეში იმპერიალისტები ჩადგნენ. ყველა იმპერიალისტმა და მეტადრე ამათ განთქმულმა მეთაურმა ჯოზეფ, ან როგორც ირლანდიელები ეძახიან. «იუდა» ჩემბერლენმა თითქო თვალი მიუგეს სხვა ბარბაროსულ სახელმწიფოებს, თითქო შეჰშურდათ ამათი მტარვალობა და ძალ-მომრეობა, და თითონაც ნელ-

ნელა და თანდათან ხსენებულ ბარბაროსთაგან ბევრი რამ გადაიღეს და ძალ-მომრეობის გზას დაადგინენ. თავიანთ პოლიტიკით ვერცა რა ინგლისს შესძინეს დიდი ხარჯისა და სახელის გატეხის მეტი და სხვა პატარა ერებს კი სწორედ რომ ბედი აწყველინეს. როგორც ვიცით, ბატონმა ჩემბერლენმა თავისი მოწყობება არც პატარა კუნძულ მალტას მოაკლო და ამასაც გადაავლო თავისი კეთილი თვალი. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ახალ პოლიტიკას, ზოგი ხომ ვიცით კიდევ და აი კიდევ რას იუწყება „რუსკია ვედომოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი:

„იმპერიალისტები ეხლა კი შეიგნებენ იმ ქეშმარიტებას, რაც ევროპაში დიდი ხანია შეიგნეს. ყოველი ერი, დამორჩილებული დიდი იმპერიისაგან, მანამდე მხოლოდ ამ იმპერიის ერთგული, სანამ იმპერია პატივსა სცემს ამ ერის კანონებს, მის მამაპაპის ენას, სარწმუნოებას და საყვარელ გმირებს. ეხლა ცხადია, რამდენადაც დიდი ერი პატივსა სცემს დამორჩილებულ ერს, იმდენად ერთგულად ექცევა ეს მეორე ერიც. ძალმომრეობას ერთი და იგივე შედეგი მოსდევს: დაჩაგრული ერი მტრობითა და სიძულვილით უწყებს ცქერას თავის დამჩაგრულს; დაჩაგრული ქვეყანა რევოლიუციონურ ამბოხებისა და აჯანყების ბუდედ გადაიქცევა ხოლმე. აი სწორედ ასეთი სურათი იშლება ჩვენ თვალწინ კუნძულ მალტაზედაც».

ამის შემდეგ ავტორს ზოგიერთი ცნობები მოჰყავს კუნძულის შესახებ და მერე ისევ განაგრძობს: «მასხოვს ამ ზამთარს ტუნისში ერთ მალტელს ვკითხე: «ფრანგი ხომ არა ხართ?» მეთქი — „არა, ბრიტანის ქვეშევრდომი ვარო“, — მიბასუხა ამაყად, მართლაც და მალტა განთქმული იყო თავისი ერთგულებით“.

დასასრულ კორესპონდენტი ასე ამბობს: „მალტას დედა ქალაქ ლავალეტის გაზეთმა „ლავალეტა“-მ დასწერა: „ჩვენის ერთგულობისათვის უსაზღვროდ ვისჯებით ეხლაო, უსაზღვრო არც ერთგულება ვარგებულაო“. მალტელები მედგარ ბრძოლას აპირებენ ინგლისთან. ვინ ამბობს, რას უნდა გახდეს მალტა ინგლისთან: სად მთელ ქვეყნიერობაზე უმძლავრესი იმპერია და სად პაწია კუნძული; მაგრამ იმპერიალისტებმა გამოსცადეს და იწვინეს, თუ რა შესძლებია პაწია ერს, როცა ეს

ერი აღფრთოვანებულია თავისუფლების სიყვარულით, იმპერიალისტებმა კარგად იციან, რა საშინელი ბრძოლა და მტრობა შეუძლიან პატარას მამგრამ გონება გაღვიძებულს ერს. მალტას მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადად უმტკიცებს ჩემბერლენს, რომ სახელმწიფო ინტერესებისათვის და სხვა-დასხვა ერების ერთ იმპერიად შედუღებისათვის, პატარა ერების ენისა, კანონების და ჩვეულების დევნა პირდაპირ საზარალოც არის, და ამავე დროს უჭკუობაც.

ახალი ამბები და შენიშვნები.

25-ს ამა აგვისტოს ბორჯომში მიბრძანდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. დიდი მთავარი დაესწრება მომავალ საიუბილეო დღესასწაულებს საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. მის უმაღლესობასთან ერთად ჩამობრძანდენ დიდი მთავარი ვიორგი მიხეილის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე უავგუსტოესის მეუღლეებითურთ და აგრეთვე საბერძნეთის დედოფალი ორის შვილით.

* * მოგვყავს საყურადღებო ანგარიში თფილისის რკინის გზის საავადმყოფოს სადოსტაქროს ექიმების ბ.ბ. ვოინოსა და მარკვეიჩისაგან შედგენილი. ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ განყოფილებაში წარსულ წელს სულ 697 ავადმყოფი ყოფილა; ამათგან 24 მომკვდარა, ესე იგი 3,4%. გარედან მოსიარულე ავადმყოფი 6667 ყოფილა; ესენი სულ 25,127 ჯერ მოსულან საავადმყოფოში. ავადმყოფებში სადოსტაქრო და ვენერიული სნეულებით 4726 კაცი ყოფილა ავად, თვალის სნეულობით — 1288, ყელის, ცხვირის და ყურების სნეულებით — 653. ოპერაცია გაუკეთებიათ — 1432 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოში მწოლიარე ავადმყოფებისათვის კი სულ 538 კაცისათვის გაუკეთებიათ ოპერაცია; ამათგან 16 მომკვდარა, ესე იგი 2,7%.

* * „პრავეტ. ვესტნიკ.“-ში ვკითხულობთ შემდეგ უმაღლეს ბრძანებას: «ვსცანით რა საჭიროდ ჭიათურის რკინის გზის გაგრძელებისათვის დაკვე-

თიდან საჩხერემდე 35 დესეტინამდე მიწის დაჭერა, ვბრძანებთ: 1) მოხდეს სათანადო განკარგულება აღნიშნულ ადგილების ჩამორთმევისა მესაკუთრეთაგან; 2) მიეცეს მესაკუთრეთ ჩამორთმეული მიწების ფასი, თანახმად ამ შემთხვევებისათვის არსებულ კანონებისა, და 3) რაუგანაც რკინის გზის კეთებას ეხლავე უნდა შეუდგნენ, დაიჭირონ აღნიშნული მიწები ამათ აღწერილობის შედგენის შემდეგ თანახმად სამოქალაქო კანონების 594 და 595 მუხლებისა“.

* * გაზეთები მოგვითხრობენ, რომ მომავალ გამოთენისათვის ახალგაზდა მხატვარი ტარასი მომცელიძე ამზადებს ექვს სურათს: 1) „მკვდრის გამოტირილი“ (დიდი სურათი); 2) რაჭველი მხერხავი; 3) ქართველი ებრაელი; 4) ბერძენი მათხოვარა; 5) ტფილისელი მოქალაქე; და 6) ახალგაზდა გურული.

* * საერო განათლების სამინისტროს განზრახვა ეხლანდელ საქალბო სკოლის ტიპის შეცვლისა. როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები იტყობინებინ, ხსენებულ რეფორმის საქმეს შეუდგებიან მხოლოდ 1903 წელს. მანამდე კი იმ საქალბო სკოლებში, რომელნიც აწ დაარსდებიან, შეტანილი იქნება რამდენიმე ცვლილება. რაც შეეხება პირველ დაწყებით სამინისტრო სკოლებს, მათთვის დაინიშნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაიწყებს მუშაობას არა უგვიანეს 1902 წლის ზამთრისა. სამინისტროს განზრახვა არა აქვს ამ სკოლებში რადიკალური რეფორმა მოახდინოს. უმთავრესად ყურადღება იქნება მიქცეული ხსენებულ სკოლების მასწავლებელთა განათლებაზე და მატერიალურ უზრუნველ-ყოფაზე.

* * ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალ საიუბილეო დღესასწაულის პროგრამის შემუშავება, დაადგინა: 1) მოაწყონ ილიუმინაცია სამის დღის განმავლობაში—26, 27 და 28 სექტემბერს. 25-ს არ იქნება ილიუმინაცია, რადგამ ამ დღეს გადახდილი იქნება პანაშვიდები რუსეთის იმპერატორებისა. გაირადდნებული იქნება სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ქალაქის სახლი, ალექსანდრეს ბაღი ბარიატინსკის ქუჩის მხრივ, მთების ფერდობები, მთის წვერებზე კი დადგმული იქნება ფისის ბოქკები. ილიუმინაციის საქმეს მიანდობენ ტფილისის სახა-

ზინო თეატრის დეკორატორს ნოვაკს. 2) ყველა სახლები უნდა დამშვენდნენ ბაირალეებით, ხალიჩებით, ფერად მატერიებით და სხვ. 3) ბაგონებზე კამარა—ერთი ვოკზალთან და ერთი ბარიატინსკის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეზე. ეს საქმე და ქუჩების მორთვა იმავე ნოვაკს მიანდეს; 4) გამართონ ფეიერვერკი მამა დავითზე თავდაზნაურთა ბალის დროს 28 სექტემბერს; 5) მიართვან მის იმპერატორებით უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს პურ-მარილი. 6) ხარჯში მონაწილეობა მიადებინონ ქალაქის მცხოვრებთ, როგორც ეს 1888-ში იყო იმპერატორ ალექსანდრე მესამის მოსვლის დროს; 7) გამართონ საუზმე „სობრანის“ საზაფხულო სადგომში; მოიწვიონ სტუმრები განსაკუთრებულად შედგენილის სიის მიხედვით. გაუმასპინძლდნენ ამქრებს. დაუკრავს დულუკი, ზურნა და სიმიანი ორკესტრი. ჯარების გამასპინძლების საქმეს მაშინ გადასწყვეტენ, როცა საკირო ცნობებს მიიღებენ ტფილისის გუბერნიის მარშლისაგან; 8) დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოსვლის დღეს ამქრები დახვდებიან მის უმაღლესობას დანიშნულ ადგილებზე. დღეს გამგეობის სხდომაზე განიხილავენ იმ საკითხს, თუ რითი აღინიშნოს ეს დღესასწაული—უმაღლესს სასწავლებლის დაარსებით, თუ საქველმოქმედო დაწესებულების შექმნით.

* * უკანასკნელის სტატისტიკურის ცნობებით რუსეთში ყოფილა: უმაღლესი სასწავლებელი—54, რომელშიაც 16,570 ყმაწვილი სწავლობს; სახელდობრ: 9 უნივერსიტეტი, 7 სასულიერო აკადემია (მართლ-მადიდებელთა და სხვათა), 2 საექიმო, 3 იურიდიული, 2 ფილოლოგიური, 12 ტექნიკური, 5 სამხედრო, 3 აღმოსავლეთის ენების, 3 სასოფლო-სამეურნეო, 4 სავეტუინარო და 3 საქალბო უმაღლესი სასწავლებელი. საშუალო სასწავლებელთა რიცხვი ყოფილა 880, რომელშიაც 162,000-ზედ მეტი მოწაფე სწავლობს. პირველ-დაწყებით სკოლების რიცხვი უდრის 79,000, რომელშიაც 4,204,000 ბავშვი სწავლობს. თუ მივიღებთ რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა რაოდენობას მხედველობაში, მოსწავლენი ძლიერ ცოტანი არიან...



მეწირულებანი.

I.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ტყვირის მაცხოვრის ეკლესიას შემოსწირეს სხვა-და-სხვა საჭირო ნივთები: გიორგი გიგინეიშვილმა გარდამოსნის ხატი, ღირებული 10 მან., ბიჭია ჩაგანავამ ტრაპეზზე დასადგმელი სანაწილე, ღირებული 13 მან., ელიზბარ თედორაძემ კანდელი, ღირებული 40 მან., სოფრომ თედორაძემ მაცხოვრის წინ დასადგმელი დიდი შანდალი, ღირებული 16 მან., მ. შეილმან ოლია დავითაძის ასულმა სამწირველო სარტყელი აბრეშუმისა და ორი პატარა დაფარნა მშვენიერად შემკული, ღირებული 4 მან.

ტყვირის მაცხ. ეკ. მღ. ანტონ ჩიქოვანი

II.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით. უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ალპანის წმ. გიორგის ეკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები: მღვდლის პეტრე ბუჯანიანის მეუღლემ ანასტასიამ სამღვდლო სტიხარი და სამკლავები, ღირებულნი 15 მანეთად, დავით გ. სილაგაძემ ორალი, სარტყელი, სამკლავები და ემბაზი—11 მ., ყარამან მ. ფრუიძემ დავითნი ყდიანი—1 მ. 20 კ.

ფულად: თავდ გრიგოლ ლ. დადიანმა 2 მან., ეგნატე სვანაძემ 2 მ., თედორია თოთაძისა ფრუიძის ასულმა 2 მან.; პეტრე ალავიძემ, იოსებ ლევიშვილმა თითო მანეთ ნახევარი; თ-დ თეიმურაზ და მელიტონ ახვლედიანებმა, ვარლამ ი. ჩიქვანმა, ოქროპირ მამარდაშვილმა, სემირან და როსტომ ალავიძენმა, მატა ალავიძისა სანიკიძის ასულმა, მჭვრივა სოფია ფრუიძისა შექიშვილის ასულმა, ოქროპირ ნიკოლოზის ძე, გარსევან ბეჟანის ძემ, გრიგოლ მარტიას ძე, ივანე ზაზუს ძე, ტიმოთე

ნიკოლოზის ძე ფრუიძენმა; კირილე რეზნიჭენკოვმა, ვლადიმერ სილაგაძემ, ევდოკია ქარსელაძისა ფრუიძის ასულმა, ევა ხვადაგიანის ასულმა, ყარამან დ. სანიკიძემ, ალექსანდრე მოწონელიძემ, ფარნაოზ ბეკოს ძე, დავით მიქელის ძე, ბიჭია, ვასილ გიორგის ძე, ბართლომე რევაზის ძე ჯანაძენმა თითო მანეთი; ბლადოჩინმა კალისტრატე გაბიანმა, მღ. მატთე ხვადაგიანმა სამ-სამი აბაზი; მღ. ლუკა ასათიანმა, ლუკა კვატაშიძემ და ლაზარე ირემაძემ—გლახებმა თომა თვალჭრელიძემ, მირონა გოგებაშვილმა, ევა ფრუიძისა ხუცურიანის ასულმა, იოსებ ვაწაძემ, გიორგი მანაგაძემ, ეგნატე მატ. ფრუიძემ, ნესტორ გ. მოწონელიძემ, ბარბაღე სოლაგაძის ასულმა, ანტონ პეტრეს ძე ფრუიძემ და გრიგოლ კენჭაძემ ათ-ათი შაური.

ზედ-მიწერილს აქარის წმ. გიორგის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: კაცია ხოს. ფრუიძემ ორი დიდი სასანთლე, სამი დაფარნა და ორი ხატის რამკა და შუშა—28 მან., მატა ალავიძისა სანიკიძის ასულმა ახალი კონდაკი ყდით—2 მ., ნიკოლოზ ბ. ჯანაძემ დავითნი ყდით—1 მ. და 20 კაპ., უფლისა დ. ფრუიძემ ჟამნი ყდით—2 მ. და 50 კ., კესარია იასონ ფრუიძის ცოლმა სახარება, სამოციქულო და დავითნი ერთად შეკრულ ყდით ქართული—3 მანეთი.

ფულად: მალხაზ ალავიძემ 1 მ., ილარიონ ალ. ხმელიძემ 1 მ. და დავით მ. ფრუიძემ 60 კ.

ალპანის შტ. მღ. პეტრე ბურჯანიანი.

III.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთი „მწყემსი“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ რკინის გზის მემანქანის თანაშემწე გლახს იაკობ სვიმონის ძე მუმლაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ცხრაწყაროს ეკლესიას ერთი რწყვილი ბაი-რალი, ორმოც-და-სამ (43 მ.) აან. ღირებული.

ცხრაწყაროს წმ. გიორგის ეკ. მღ. თ. დ—ძე.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირულ გამოსცემათა ქართულს

კერძო საავთმყოფო ამხულატორიიტუტ

„მწყემსი“ - ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ» - ზე

ქურნალის ფასი:

- 12 ზეით «მწყემსი» 3 მ. | 6 ზეით «მწყემსი» 2 მ.
- „რუსული“ 3 მ. | — „რუსული“ 2 მ.
- „ორივე გამოცემა“ 3 მ. | — „ორივე გამოცემა“ 2 მ.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეარაღაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კაახის გამაერცელველ საზოგადოების წიგნის მალაზაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაქაროვთან; საჩხერეში — ყრაღან ჩაიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში — ბლაღოჩინ მანა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზრეობის დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მასნეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისადის სახლებში და ვეარაღაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბაჟეშე კვარკვებთ ქურნალის დაბარებზე შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერათ პრემიად (საჩუქრად) აქვს დანიშნული დიდი სურათი ყოველად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედმეტ ხარჯად ორი შუარი. ამ პრემიის გასაგზავნი.

ს. ბ. თოფუჩიანს.

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს მ. ს. ბ. თოფუჩიანს.

ქირირგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავთმყოფობისათვის.

მ. ფ. კ. გერკატი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და საბებით ქალი.

მ. მ. ფ. კოზანი.

რჩევა დარეგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აწერაციის ფასი გარეგებაზე. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფუჩიანს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: მწარე ფიქრებისოფლის ხუცესისა. — „მწყემსის“ კორრესპონდენტია, მ. ა. შ. -სა. — სიტყვა, თავ. ქაიხ. გელოვანისა, რომლითაც იგი მიესალმა ნ. ს. მარამობისთვის სოფ. პირველ ტოლის მაცხ. ეკლესიაზე მის ყ-დ უსამღე ებისკ. ლეონიდს. — დღეს მაინც უნდა ვიფიქროთ რამ ამ ძველი ნაშთების შესაფერად დაცვის შესახებ, მღ. ი. მარგანიანსა. — ორიოდ სიტყვა სვანეთის სამღვდელთების შესახებ მისივე. — შურისძიების მსხვერპლი, (ლეკი რუსულიდან) ილ. ფერადისა. — ქურნალ-გაზრეობებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

შეწირულებანი. — განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.
Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 августа 1901 г.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
За Цензура Илья Перадзе